სსიპ განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული
ცენტრის დირექტორი

07/12/2024

MES 2 24 0001575832

ბრძანება

საექთნო საქმის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-3 მუხლის „დ" ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტისა და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის №476/ი ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის“ მე-6 მუხლის მე-11 და მე-14 პუნქტების საფუძველზე და ცენტრის კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსის 2024 წლის 2 დეკემბრის №1545364 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საექთნო საქმის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი დანართის შესაბამისად.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „საექთნო საქმის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი" ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის № 69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სწავლის სფეროების კლასიფიკატორით" გათვალისწინებული დეტალური სწავლის სფეროს - საექთნო საქმე (კოდი - 0913.1.1) პროგრამა/პროგრამები დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოიყვანონ ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან 1 წლისა და 3 თვის განმავლობაში.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, ახალ საგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან დაკავშირებით ცენტრში სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენის დროს, აღნიშნული პროგრამა/პროგრამები შესაბამისაობაში ჰქონდეს მოყვანილი „საექთნო საქმის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან".

5. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამსახურს ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების უზრუნველყოფა.
6. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის:. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი მარგიშვილი ლაშა